CONSOLE
DEVELOPMENT COMPANY

შპს „კონსოლი“

ს/კ 405059378, მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას №41 ტელ: 599574787; ელ.ფოსტა: info@console.ge

27.10.2022 წელი

№25

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს „კონსოლი“-ს (რეგისტრირებული 20.08.2014 წ. ს/კ 405059378) დირექტორი დავით ლექვთაძე (პ/ნ 53001014154), წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლებამოსილებას რევაზ ტყემალაძეს (პ/ნ 01024004230) იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში. მინდობილი პირი უფლებამოსილია, შეუზღუდავად განახორციელოს შპს კონსოლის სრული წარმომადგენლობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში (მათ შორის არქიტექტურის სამსახურში და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში), მათ შორის, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებებში, გააკეთოს განცხადებები ან/და წარადგინოს დოკუმენტები, მოითხოვოს ინფორმაცია, დააზუსტოს წარდგენილი განცხადება ან/და ინფორმაცია, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც აუცილებელი იქნება შპს კონსოლის წარმომადგენლობისთვის საჭირო ნებისმიერი უფლებამოსილების შესასრულებლად, მათ შორის, ისეთი მოქმედებები, რომელიც არ არის უშუალოდ დასახელებული წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ გამომდინარეობს მისი მიზნებიდან.

მინდობილობა მოქმედებს 31.12.2023 წ-მდე.

შპს „კონსოლი“

დირექტორი:

დავით ლექვთაძე დავით ლექვთაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N221469852
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	27.10.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ანჟელა მანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, იონა ვაკელის ქ. N 1
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	15317953703322

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ოცდაორი წლის ოცდაშვიდ ოქტომბერს მე, ნოტარიუსს ანჟელა მანიას, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, იონა ვაკელის ქუჩა № 1, მომმართა დავით ლექვთაძემ . მან წარმოადგინა მინდობილობა (სამი ეგზემპლარი) და განაცხადა, რომ სურს ამ მინდობილობაზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავწრმუნდი, რომ მე ნამდვილად დავით ლექვთაძემ (დაბადებული 18.11.1985წ. თბილისში, პირადი № 53001014154, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 41ზ) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. რის შემდეგაც მას ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავისი ხელმოწერა წინამდებარე მინდობილობაზე. მე მას განვუმარტე, ნოტარიუსი ანჟელა მანია მინდობილობის შინაარსზე და სამართვლებრივ შედეგებზე არ ვიღებ პასუხისმგებლობას და ვამოწმებ მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობას მასზე.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 3 ეგზემპლარზე 3 ხელმოწერისთვის 18 (თვრამეტ) ლარი, საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –3,24 ლარი და 39-ე მუხლის საფუძველზე 5 (ხუთი) ლარი.

ნოტარიუსი /ანჟელა მანია/